]

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 631
31/03/2020

631-01-4-202003311756

„ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 13 მარტის N542 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულების, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანების, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 21 მარტის N5864-სს დადგენილების, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 21 მარტის N5865-სს დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 13 მარტის N542 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა/. ბრძანების პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება 2020 წლის 13 მარტიდან 2020 წლის 21 აპრილამდე მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით“.

ბ/. ბრძანების მე-2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. 2020 წლის 13 მარტიდან 2020 21 აპრილამდე სრულ დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადავიდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ის პირველადი სტრუქტურული ერთეულები (სამსახურები), რომლებსაც არ უწევთ მოქალაქეებთან უშუალო შეხვედრები, კერძოდ:

ა) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური;

ბ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური;

გ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური;

დ). ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახური“.

გ/. ბრძანების მე-3 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. 2020 წლის 13 მარტიდან 2020 წლის 21 აპრილამდე ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმზე გადავიდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ის პირველადი სტრუქტურული ერთეულები (სამსახურები), რომლებსაც მოქალაქეებთან უშუალო შეხვედრები უწევთ, კერძოდ:

ა) ქალაქ ქუთაისის მუნციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური;

ბ) ქალაქ ქუთაისის მუნციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახური;

გ) ქალაქ ქუთაისის მუნციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური;

დ) ქალაქ ქუთაისის მუნციპალიტეტის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური;

ე) ქალაქ ქუთაისის მუნციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური.“

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებამ /შ. ხურციძემ/ უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გაცნობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებისათვის (პოლიტიკური თანამდებობის პირი, საჯარო მოსამსახურე, მათ შორის, პროფესიული საჯარო მოხელე, შრომითი ან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი).

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ნ. თვალთვაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

6. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ გვერდზე http://kutaisi.gov.ge/.

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი